ასეთია საქართველოს მშრომელთა ფიქრები, გეგმები



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 ივლისი კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 168 (14772)

პარტიის ყრილობის შესახებ

19 ივლისი მეტალურგის დღეა

პარტიის ყრილობის აღსანიშნავად

დგებიან შრომითს ვახტზე

საქართველოს მშრომელები, ისევ როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ.

ყველგან იმართება მიტინგები და კრებები, რომელზეც კისრულობენ ვალდებულებებს პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავად.

თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა გულდასმით აწონ-დაწონეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი და საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინეს — გადაწყვიტეს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.

ნაკისრია შემდეგი ძირითადი სოციალისტური ვალდებულებანი.

თბილისის ლენინის სახელობის ელექტროსაშენებო ქარხანა: პროდუქციის მოცულობის წლიური საწარმოო დავალება შეასრულოს 10 დეკემბრისათვის. მიმდინარე წლის ბოლომდე გამოუშვას ახალი ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ხოლო 1971 წლის პირველ კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს, უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ზრდა მიმდინარე წლის სამი პროცენტით, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში — ერთი პროცენტით, ვიდრე ეს გეგმითაა გათვალისწინებული. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით უზრუნველყოს ზეგეგმითი მოგება მიმდინარე წლის 150 ათასი მანეთის ოდენობით, 1971 წლის პირველ კვარტალში — 50 ათასი მანეთის ოდენობით. ყრილობის დღისათვის შეიმუშაოს და დაამზადოს ახალი სწრაფმოქმედი ამომრთველის საცდელი პარტია მუდმივი დენის ელმავლების ძალური წრედების დასაცავად, გაღაიყვანოს ტვიერვაზე ელმავლის სასურავის საძრომები და უზრუნველყოს თვითეული ელმავლზე 120 კილოგრამი ფურცლოვანი ფოლადის ხარჯვის შემცირება. დაზოგოს 170 ტონა შავი და 30 ტონა ფერადი ლითონი, დიდძალი ელექტროენერგია. ყრილობის პერიოდში ერთ დღეს ქარხანა იმუშავებს დაზოგილი მასალებით. მიმდინარე წელს დანერგოს 300 რაციონალიზატორული წინადადება, ხოლო 1971 წლის 1 კვარტალში — 60 რაციონალიზატორული წინადადება და შესაბამისად მიიღოს წლიური ეკონომია — 360 და 120 ათასი მანეთი.

თბილისის № 1 სატვირთო ავტომობილების საწარმოთა კოლექტივებმა აღმართეს პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების დროშა

□

ტრანსპორტიორტ საწარმო: 1970 წლის ტვირთზიდვის გეგმა შეასრულოს 26 დეკემბრისათვის, ხოლო 1971 წლის პირველი ორი თვის გეგმა — 20 თებერვლისათვის. ერთი პროცენტით შეამციროს ტვირთზიდვის თვითღირებულება, ორი პროცენტით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და მიიღოს 30 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, სამი პროცენტით დაზოგოს საწვავ-საპოხი მასალები, 2,5 პროცენტს გადაჭარბებით შეასრულოს შემოსავლის გეგმა. მოაწყოს ორი ორმო საძარო საამქროში, ლითონკონსტრუქციების საწყობი, სამლებრო საამქრო. დაამთავროს გალვანური საამქროს დამონტაჟება. ავტომანქანების ტვირთამწეობისა და დატვირთული ავტომანქანების გარბენის ამაღლების მიზნით გაადიდოს თვითმცლელთა მისაბმელების რიცხვი 35 ერთეულამდე.

თბილისის № 6 სამგზავრო ფაბრიკა: ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს 10 დეკემბრისათვის. პარტიის XXIV ყრილობის გახსნამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 3 ათასი ცალი მამაკაცის კოსტუმი. ყრილობის გახსნის დღეს მკერავები დაზოგილი ნედლეულით იმუშავებენ.

თბილისის ფოლად-თუხსამსხმელო ქარხანა. მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 300 ათასი მანეთის პროდუქციას. გამოუშვებს ზეგეგმით 400 ტონა ფოლადის სხმულს. ორი პროცენტის გადაჭარბებით შეასრულებს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას, ამდენივე პროცენტით შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. მიიღებს 45 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას. შეამცირებს დანაკარგებს წუნის გამო 350 ტონით 1969 წელთან შედარებით. დაზოგავს 130 ტონა ჰირბოით სათბობს, 270 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 1 ნოემბრისათვის შეასრულებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნისა და ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ქარხნისათვის ფოლადის სხმულების გაგზავნის გეგმას.

თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანა: პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიან გეგმას შეასრულებს 20 დეკემბრისათვის. 1971 წლის პირველი კვარტალის დავალებას კი 25 მარტისათვის. მომავალი წლის გეგმას შეასრულებს ვადაზე 10 დღით ადრე და გეგმის გადაჭარბებით სამშობლოს მისცემს 100 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციას. მიმდინარე წლის მოგების გეგმას შეასრულებს 8 პროცენტის გადაჭარბებით, მომავალ წელს კი 10 პროცენტის გადაჭარბებით. აგზომობილების რემონტის თვითღირებულებას წელს შეამცირებს 110 მანეთით, დანერგავს 170 სიახლეს, რომელთა ეკონომიური ეფექტიანობა 40 ათასი მანეთი იქნება. მომავალი წლის 25 თებერვლისათვის მთლიანად აითვისებს ზილ-130 და მმზ-555 მანქანების კაპიტალურ რემონტს. მიმდინარე წლის დამლევამდე რეკონსტრუქციას დაამთავრებს და სრულყოფილ ტექნიკურ საამქროებად გადააცემს ხარხნის, ტენტების, ბალიშების, ბალიშების, ბალიშ

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

სრულიად ევროპის თათბირის პოლიტიკური მომზადებისადმი, რომლის მოწვევის წინადადება წამოაყენეს სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა.

საბჭოთა კავშირი განუხრელად აღიგას საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს, მხარს უჭერს ყოველგვარ წამოწყებას, ჯისაც უნდა ეგუთვნოდეს იგი, თუ ეს წამოწყება მიზნად ისახავს საერთაშორისო უშიშროების ნამდვილ განმტკიცებას და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის გაფართოებას. მაგრამ არ დავიმალოდ, რომ ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, როცა მშვიდობისმოყვარულ ინიციატივას იჩენს ჩვენი მეგობარი ხახელმწიფო.

თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, განაგრძო ნ. ვ. პოდგორნიმ, შარშან ოქტომბერში განაცხადეთ, რომ 1948 წლის ხელშეკრულება ფინეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტია და ფინეთი აპირებს კვლავაც ასეთ პოზიციას ამ ხელშეკრულებით დასახული გზით. უნდა ვთქვა, რომ ჩვენი მხრივ მზად ვართ ყველაფერი ვიღონოთ, რათა დროით შემოწმებული ხელშეკრულება კვლავაც ემსახურებოდეს ჩვენი ქვეყნების თანაშშრომლობის განვითარების საქმეს, მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღღეს მიღწეულ შეთანხმებას კიდევ ოცი წლით ვაგრძელონ ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ცნობილია, რომ ამ ღღეებში შეიქმნა ფინეთის ახალი მთავრობა ბატონ ა. კარიალაინენის მეთაურობით. თავის პროგრამაში მან ერთ-ერთ ძირითად ამოცანად წამოაყენა საბჭოთა კავშირთან თანაშშრომლობის შემდგომი განვითარება. ვსარგებლობ აქ მთავრობის ზოგიერთი წევრის ყოფნით და მსურს მას ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით ვუსურვო დიდი წარმატებანი ამ არჩეულ გზაზე. ფინეთის მთავრობის მეცადინეობას ამ მიმართულებით კვლავაც გამოეხმაურებიან და მხარს დაუჭერენ ჩვენს ქვეყანაში.

მეგობრობა, თანაშშრომლობა და ურთიერთდახმარება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ახალი მთავრობა ბატონ ა. კარიალაინენის მეთაურობით. თავის პროგრამაში მან ერთ-ერთ ძირითად ამოცანად წამოაყენა საბჭოთა კავშირთან თანაშშრომლობის შემდგომი განვითარება. ვსარგებლობ აქ მთავრობის ზოგიერთი წევრის ყოფნით და მსურს მას ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით ვუსურვო დიდი წარმატებანი ამ არჩეულ გზაზე. ფინეთის მთავრობის მეცადინეობას ამ მიმართულებით კვლავაც გამოეხმაურებიან და მხარს დაუჭერენ ჩვენს ქვეყანაში.

მეგობრობა, თანაშშრომლობა და ურთიერთდახმარება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთნდობის განმტკიცებასა, ევროპაში ეროვნული სუვერენიტეტების ფარგლებში ეკონომიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, ტექნიკურ-მეცნიერული, კულტურული ურთიერთობის ფართოდ განვითარებას

ერთიანი ერთიანობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 29 ივნისიდან 17 ივლისამდე სსრ კავშირში მეგობრული ვიზიტით იყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარე გამალ აბდელ ნასერი.

მოსკოვში პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერი შეხვდა და ესაუბრა ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინს.

ამ შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებიც გულახდილობის, მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, აღნიშნულია ერთობლივ კომუნიკეში, დიდი უურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს. მხარეებმა აგრეთვე ფართოდ გაუზიარეს ერთმანეთს აზრები ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საერთაშორისო პრობლემებზე.

აზრთა გაზიარების დროს დადასტურდა, რომ მხარეებს ერთნაირი შეხედულებანი აქვთ ახლო აღმოსავლეთში რაიონში შექმნილ მდგომარეობაზე.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ ახლო აღმოსავლეთში კვლავ მტანად საშიში ვითარებაა იმის შედეგად, რომ არ წყდება ისრაელის შეიარაღებული თავდასხმები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სხვა არაბულ ქვეყნებზე.

ისრაელის აგრესიული ექსპანსიონისტური პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ მას უცვლელად მხარს უჭერენ იმპერიალისტური წრეები, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები. ასეთი პოლიტიკა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და პრინციპების, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევა. ისრაელის მთავრობის ამ კურსის გამოვლინებაა ისრაელის შეიარაღებული ძალების თავდასხმები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ლიბანის, სირიისა და იორდანიის ტერიტორიებზე, აგრეთვე ღონისძიებანი, რომელთა მიზანია არაბული ქვეყნების დროებით ოკუპირებული ტერიტორიების უკანონო ანექსია, ტერორი და რეპრესიები ამ ტერიტორიათა არაბი მოსახლეობის მიმართ.

მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება შეიძლება უზრუნველყონ ამ გზით, რომ განაბორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი არაბულ ქვეყნებზე ისრაელის შეიარაღებულ თავდასხმათა შესაწყვეტად, გაიყვანონ ისრაელის ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ომის შედეგად ტერიტორიების არშეძენის პრინციპის შესაბამისად და მოლიანად შეასრულონ უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი პალესტინელ ლტოლვილთა საკითხების გამო. მხარეებმა დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში და მიზნად ისახავენ პოლიტიკურ მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში.

მხარეები სოლიდარობას უცხადებენ პალესტინის არაბ ხალხს, რომელიც მამაცურ ანტიიმპერიალისტურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევა ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში. მან მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა კავშირის, ხალხების პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა დახმარებისათვის, რასაც ისინი უწევენ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სხვა არაბულ ქვეყნებს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სსრ კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის კვლავაც დაუჭიროს მხარი არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სუვერენიტეტისა და თავისუფლებისათვის და საჭირო მხარდაჭერა გაუწიოს მათ ამ საქმეში.

მხარეებმა განიხილეს შემდგომი ღონისძიებანი, რომლებიც, მათი აზრით, საჭიროა განხორციელდეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად, და საჭიროდ ცნეს ამ მიმართულებით კოორდინაცია უყონ თავიანთ ღონისძიებებს.

მხარეების აზრით, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, ისრაელის აგრესიული ზრახვების აღსაკვეთად ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა არაბული ქვეყნისა და ხალხების მოქმედების ერთიანობას მათდამი მტრული იმპერიალიზმის ძალებისა და მათი შემწეების წინააღმდეგ.

იღვწიან რა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის უსწრაფესად მოწესრიგებისათვის, მხარეებს მიაჩნიათ, რომ რაც უფრო მალე ათქმევინებენ მშვიდობისმოყვარე ძალები ისრაელს უარს „ძალის პოზიციის“ უპერსპექტივო პოლიტიკაზე არაბი ხალხების მიმართ, მით უფრო სწრაფად იქნება უზრუნველყოფილი სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ამ რაიონში, რაც შეეხებამება ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებსა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ორივე მხარემ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმ მდგომარეობის გამო, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნა ინდოჩინეთის ხალხთა საქმეებში ამერიკის ჩარევის გაფართოებასთან და კამბოჯის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიასთან დაკავშირებით. მხარეებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი ინდოჩინეთის სამივე ვარკუნძულის ხალხთა დამოუკიდებლობის, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას.

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ განიხილეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები და დადასტურეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის სრულ, საბოლოო და უპირობო ლიკვიდაციას. მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთსულოვნად გაუსვეს ხაზი აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის როლსა და მნიშვნელობას აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების შეკავშირების, კოლონიური უღლისაგან აფრიკის კონტინენტის სრული და საბოლოო განთავისუფლების საქმეში.

მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დროს მხარეებმა საჭიროდ ცნეს განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღების, კერძოდ მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ატომური განიარაღების მიღწევა.

საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, აღნიშნულია კომუნიკეში, მიაჩნიათ, რომ საერთო საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესება და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ევროპის უშიშროების განმტკიცებაზე. საბჭოთა ხელმძღვანელებმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას გააცნეს ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, მათ შორის ევროპის კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცებისათვის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის ხელშეწყობისათვის. მათ ერთსულოვნად აღნიშნეს ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური კურსის რეალისტურობა, რომლებიც თავიანთი საერთაო პოლიტიკის განხორციელებისას ითვალისწინებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რობორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობას და ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საზღვრების ურღვევობას. მხარეები ითვალისწინებენ იმას, რომ დაძაბულობის შენელებისა და ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის მოწესრიგებას დიდად შეუწყობდა ხელს ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემების შექმნა.

საუბრების დროს მხარეებმა განიხილეს მრავალი საკითხი, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ორმხრივი თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტს. მხარეებმა დიდად შეაფასეს ორი ქვეყნის ურთიერთობის მდგომარეობა და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ეს ურთიერთობა ვითარდება სრული. თანასწორობის, სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემისა და ჩაურევლობის საფუძველზე. პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დიდი მადლობა გადაიხადა იმ ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხები და მთავრობა უწევენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხსა და მთავრობას, აგრეთვე იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს არაბ ერს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ახლანდელ რთულ და ძნელ ბრძოლაში.

საუბრების დროს მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაფართოების გზები.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის მეგობრული ვიზიტი, აგრეთვე ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა აზრების ფართო და გულახდილი გაზიარება ხელს შეუწყობენ სსრ, კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ ყოველმხრივ გაფართოებას. (საკ-დესი).

მოითხოვენ უშიშროების საბჭოს მოწვევას

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკ-დესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების დიდი ჯგუფის მოთხოვნით გაიმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა, რათა განიხილოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დარღვევის შემთხვევები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ ამ საელჩოწყობთა წარმომადგენლების წერილში ნათქვამია, რომ ასეთი სხდომის მოწვევის საჭიროება წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი რაგი წევრები „ეკეთილსინდისიერად არ ასრულებენ გადაწყვეტილებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესების შესახებ“. წერილის ავტორები აცხადებენ, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სამხედრო საფრთხეს იყენებს რასისტული პოლიტიკისა და აგრესიის მოსაწყობად თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

ემბარგოს დარღვევა სამხრეთ აფრიკის მთავრობას საშუალებას აძლევს შექმნას მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა, რომელსაც იგი იყენებს არა მარტო თავისი რასისტული პოლიტიკის განხორციელებისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ უხეშად დაარღვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ნამიბიის, სამხრეთ როდეზიისა და პორტუგალიელთა მიერ ოკუპირებულ ანგოლისა და მოზამბიკის ტერიტორიების შესახებ. გარდა ამისა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ძალიერების ზრდა საფრთხეს უქმნის მეზობელი დამოუკიდებელი აფრიკული სახელმწიფოების სუვერენიტეტს, აღნიშნულია წერილში.

ამასთან დაკავშირებით წერილში გამოთქმულია მოთხოვნა, სასწრაფოდ მოიწვიონ უშიშროების საბჭო, რათა გამონახონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს სრული შესრულების გზები და საშუალებანი.

პრაქტიკული იარაღი რასისტებს

ნაირობი, 17 ივლისი. (საკ-დესი). კენია აპირებს მოუწოდოს ერთა თანამეგობრობის ყველა ქვეყანასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს უფლება არ მისცენ ინგლისს განაახლოს იარაღის მიწოდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის. ეს დღეს განაცხადა პრეს-კონფერენციაზე კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნჯორეგე მუნგაიმ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის ეს მიწოდება, თქვა მინისტრმა, მიზნად ისახავს აფრიკის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას და დაარღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1963 წლის რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებს ყველას შეუწყვეტონ იარაღის მიწოდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. ნჯორეგე მუნგაიმ აგრეთვე დროს განაცხადა, რომ კენიის მთავრობის თვალსაზრისი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდების შესახებ ეხება არა მარტო ინგლისს, არამედ ყველა სხვა ქვეყანას, რომელიც იარაღით ამარაგებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ან მატერიალურ თუ მორალურ მხარადჭერას უწევს რასისტულ რეჟიმებს.

ლონდონი, 18 ივლისი. (საკ-დესი). სამხრეთ აფრიკის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება ინგლისის მთავრობის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ განაახლოს იარაღის მიწოდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის. ამ იარაღს, ხაზგასმულია განცხადებაში, სამხრეთაფრიკელი რასისტები გამოიყენებენ აპარტეიდის სისტემის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და სამხრეთ აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობად.

ფოსტერის რასისტული რეჟიმი, აღნიშნულია ამასთან დაკავშირებით განცხადებაში, მუდმივ საფრთხეს უქმნის აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, აფრიკელი ხალხის მშვიდობასა და უშიშროებას.

ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის

ბერლინი, 18 ივლისი. (საკდესი). როსტოკში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) დამთავრდა ბალტიისპირეთის ქვეყნების, ნორვეგიისა და ისლანდიის მუშათა სამი დღის კონფერენცია. კონფერენციის 550-ზე მეტმა მონაწილემ — მსოფლიოს ამ რაიონის ქვეყნების პროფკავშირთა 110 მილიონამდე წევრის წარმომადგენლებმა ცხადყვეს თავიანთი ერთობა და მტკიცე გადაწყვეტილება დაიცვან ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები.

კონფერენციაზე მიღებულ საბოლოო განცხადებაში გამოთქმულია მოწოდება მხარი დაუჭირონ ყველა ღონისძიებას ევროპის მშვიდობის უზრუნველსაყოფად. კონფერენციის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ბუდაპეშტში გამოთქმულ წინადადებებს იმის თაობაზე, რომ მოწვეულ იქნას სრულიად ევროპის ქვეყნების თათბირი უშიშროების საკითხებზე.

თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველზე ბადამწყვეტ წვლილს შეიტანდა ევროპის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, ნათქვამია განცხადებაში.

ბალტიისპირეთის ქვეყნების, ნორვეგიისა და ისლანდიის პროფკავშირების წარმომადგენლებმა მხურვალე სოლიდარობა გამოუცხადეს ინდოჩინეთის ყველა ხალხის ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის. მიღებულ სოლიდარობის განცხადებაში მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მთლიანად გაიყვანოს თავისი ჯარები ინდოჩინეთიდან და პატივი სცეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს ინდოჩინეთის თაობაზე.

მთავროგის კრიზისი იტალიაში

რომი, 17 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი იუწყება:

ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ, რომელსაც დაევალა იტალიის ახალი მთავრობის შედგენა, დაამთავრა პოლიტიკური პარტიებისა და მრეწველთა წრეების წარმომადგენლებთან კონსულტაციების პირველი ეტაპი.

ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველების აზრით, უახლოესი ერთი-ორი დღე შეიძლება გადაწყვეტი გამოდგეს მთავრობის ახალანდელი კრიზისის ბედისათვის.

ეს ბოლო დღეები, რომელთა განმავლობაში „მემარცხენეცენტრისტული“ კოალიციის პარტიორები ერთმანეთს ეკრობდნენ, მოწმობენ, რომ წინანდელი მთავრობის ბლოკის ხელახალი შექმნა აწყდება სერიოზულ დაბრკოლებებს, რომელთაგან მთავარია უმწვავესი უთანხმოებანი იტალიის სოციალისტური პარტიის სოციალისტებსა და უნიტარული სოციალისტური პარტიის სოციალ-დემოკრატებს შორის, რომლებსაც მხარს უჭერს ქრისტიანულ-დემოკრატია მემარჯვენე ფრთა.

□

კომუნისტი პროვინციული საბჭოს თავმჯდომარე

ბუდაპეშტი, 18 ივლისი. (საკ-დესი). აქ უნგრეთის საგარეოსავაჭრო საწარმო „კომპლექსმა“ და საბჭოთა კავშირის გაერთიანება „ტექნოეექსპორტმა“ ხელი მოაწერეს მიწოდების ხელშეკრულებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი უნგრეთს გაუგზავნის პროექტებს და ფურცლოვანი მინის ქარხნის სრულ მოწყობილობას. ეს ქარხანა შენდება ქალაქ ოროსხაზაში და ჯდება 4,3 მილიარდი მანეთი, იუწყება უნგრეთის დეპეშათა სააგენტო.

პრეზიდენტი ბოკასა სამეფოდ მოიმზადა

ბანგი, 18 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ საზღვარგარეთ მოგზაურობიდან დაბრუნდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური გენერალი ჟან-ბედელ ბოკასა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საკავშირო თავდაცვის ჯარების წვრთნა

გენმის შესაბამისად 1970 წლის 13-17 ივლისს მოგწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საპაერო თავდაცვის ჯარების წვრთნა.

წვრთნას ხელმძღვანელობდა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების საპაერო თავდაცვის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი პ. თ. ბატიცკი.

წვრთნამ ცხადყო მეთაურებისა და შტაბების მაღალი ოპერატიული მომზადება, აგრეთვე ზუსტი შეთანხმება შენაერთებისა და ჯარების მოქმედებაში. მან ჩაიარა ჯარების ურთიერთგაგების, მჭიდრო ძმური თანამეგობრობის ვითარებაში და ხელი შეუწყო საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებას.

15 წლის იუბილარი

ვარშავა, 18 ივლისი. (საკდესი). ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლე — საბჭოთა კავშირის საჩუქარი — აღნიშნავს თავის 15 წლისთავს.

ღარსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საბჭოთა საელჩოში გაიმართა მეგობრული შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. შიდლაკი, პოლონეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი.

შეხვედრა პოლონელ მეგობრებთან

თბილისში ჩამოვიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ საზოგადოების მთავარი გამგეობის მდივანი ჰენრიკ კალინოვსკი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ბელოსტოკის სავოევოდო განყოფილების მდივანი ზოფია ტრიბულსკა, საზოგადოების ოლშტინის სავოევოდო განყოფილების მდივანი იუზეფ ფმოხოფსკი და საზოგადოების ვარშავის კომიტეტის მდივანი თადეუშ შტემიცი. პოლონელი მეგობრები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის საზოგადოებრიობის საზეიმო კრებაში, რომელიც პოლონეთის აღორძინების დღეს ეძღვნება.

17 ივლისს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრებმა ჟულიეტადი შეხვედრა მოუწყვეს სტუმრებს. საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჟღენტმა, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტოტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ტაბაღუამ და მ. ლორთქიფანიძემ, საზოგადოების განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ი. დოლიძემ პოლონელ ამხანაგებს მიულოცეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — პოლონეთის აღორძინების 26 წლისთავი. საქართველოს ყველა მშრომელის სახელით მათ პოლონელ მეგობრებს და მთელ პოლონელ ხალხს უსურვეს ახალი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში.

18 ივლისს დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ თბილისისა და მისი სანახაობების ღირსშესანიშნაობებს. (საქდესი).

ფოტოობიექტივშია გულგარეთი

ევროპაში უდიდესი

პაზარჯიკის ახლოს მინა აქვს გადაფარებული მთელ მინდვრებს, რომლებიც ადამიანს შორიდან მოლივლივე დიდ ტბებად ეჩვენება. ეს არის ევროპაში უდიდესი სასათბურო კომპლექსი (სურათზე). მისი ფართობი 600 ჰექტარი. აქ მოჰყავთ ბოსტნეული, ყვავილები, კენკრა.სასათბურო მეურნეობა ბულგარეთში ფართოდ არის დაყენებული და სახელმწიფოს დიდ შემოსავალს აძლევს.

ფოტო ბტა-სკდესისა.

აგრესიის ახალი ფაქტები

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკ-დესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იორდანიის მუდმივი წარმომადგენლობამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ 15 ივლისს ისრაელის ორმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში აშ-შუნუხ აშ-შამილახის დასახლებულ პუნქტზე. თავდასხმის შედეგად ცამეტი მშვიდობიანი მცხოვრები დაიჭრა, ზოგიერთი მათგანი მძიმედ.

იორდანიის წარმომადგენლის მეორე წერილში აღნიშნულია, რომ ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი კვლავ ძალით ერეკებიან არაბ მცხოვრებლებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

1970 წლის 8 ივნისს, ნათქვამია წერილში, ისრაელმა ჯარისკაცებმა ოცზე მეტი კაცი განდევნეს მდინარე იორდანის ოკუპირებული დასავლეთი ნაპირიდან.

დაშინების, ტერორის, თვითნებური დაპატიმრებების პოლიტიკას ისრაელი ახორციელებს ოკუპაციის პირველი დღეებიდან. ხაზგასმულია შემდეგ წერილში. თვითეული სოფლის, დასახლებისა და ქალაქის მცხოვრები, რომლებიც მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის ზოლში ცხოვრობენ, ასეთი პოლიტიკის მოწმე იყო. მკვიდრი მოსახლეობის დეპორტირებისა და კონფისკაციულ ან მიფოვებულ მიწებზე უცხო ელემენტების დასახლების პროცესი გრძელდება არაბული ქალაქების შემადგენლობის შესაცვლელად.

ისრაელმა უნდა შეიგნოს, ხაზგასმულია წერილში, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციი ვერ შეურიგდება ამგვარ უკანონო ღონისძიებებს, რომლებიც აშკარად არღვევენ ჟენევის 1969 წლის კონვენციებს. ასეთი პოლიტიკის შეწყვეტისათვის უნდა განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

იორდანიის წარმომადგენლობა სთხოვს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხი დასვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიისა და ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ადამიანურ უფლებათა დარღვევის გამოძიების საერთაშორისო ჯგუფის წინაშე, ნათქვამია წერილში.

ბულგარეთის მეგობრული თანამშრომლობა

ბუდაპეშტი, 18 ივლისი. (საკ-დესი). აქ უნგრეთის საგარეოსავაჭრო საწარმო „კომპლექსმა“ და საბჭოთა კავშირის გაერთიანება „ტექნოეექსპორტმა“ ხელი მოაწერეს მიწოდების ხელშეკრულებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი უნგრეთს გაუგზავნის პროექტებს და ფურცლოვანი მინის ქარხნის სრულ მოწყობილობას. ეს ქარხანა შენდება ქალაქ ოროსხაზაში და ჯდება 4,3 მილიარდი მანეთი, იუწყება უნგრეთის დეპეშათა სააგენტო.

პრეზიდენტი ბოკასა სამეფოდ მოიმზადა

ბანგი, 18 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ საზღვარგარეთ მოგზაურობიდან დაბრუნდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური გენერალი ჟან-ბედელ ბოკასა.

ლონდონი, 17 ივლისი. (საკ-დესი). ლიბერალისტური პარტიისაგან ინგლისის პარლამენტის მთელმა რიგმა წევრებმა გადაჭრით დაგმეს ინგლისში საგანგებო წესების შემოღება დოკერთა საყოველთაო გაფიცვასთან დაკავშირებით. პარლამენტარებმა აგრეთვე დაგმეს ინგლისის ჯარების გამოყენება ნავსადგურებში. გუშინ თემთა პალატაში გაიმართა კამათი, რომელზეც კონსერვატიული მთავრობის მოქმედება გააკრიტიკეს ნ. ატკინსმა, ტ. დრაიბერგმა, უ. მოლოიმ, ი. მიკარდომ და სხვებმა.

საგანგებო წესების შემოღების შემდეგ

მემარცხენე ლიბერალისტების პოზიციას დღეს მხარი დაუჭირა გაზეთმა „მორნინგ სტარმა“. მოწინავე სტატიაში გაზეთი წერს, რომ დოკერთა საყოველთაო გაფიცვა „მეწარმეთა ჯიუტობის შედეგი“ იყო, რომლებმაც უარი თქვეს დაეკმაყოფილებინათ დოკერთა სამართლიანი მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ.

ლონდონი, 18 ივლისი. (საკ-დესი). იმასთან დაკავშირებით, რომ გაიფიცა 47 ათასი ინგლისელი დოკერი, შემოღებულია საგანგებო წესები, რამაც კონსერვატორთა მთავრობას ფართო რწმენებანი მიანიჭა. მთავრობას ამის საფუძველზე შეუძლია გამოიყენოს ჯარები გადმოტვირთვისათვის, გაანაწილოს სურსათი და პირველი საჭიროების სხვა საგნები, აგრეთვე მაქსიმალური ფასები დაიწესოს სურსათზე. მთავრობის საგანგებო რწმენებანი ძალაში შევიდა დღეს შუაღამისას. ლონდონის გაზეთები წერენ, რომ ნავსადგურებში დღეს გადაიყვანენ ჯარებს.

მთავრობის მოქმედებამ დოკერთა კანონიერი აღშფოთება გამოიწვია, რომლებიც გაიფიცნენ ხელფასის ძირითადი განაკვეთის გადიდებისათვის მოთხოვნის მხარდასაჭერად. ისინი აცხადებენ, რომ პროდუქტების საკმარისი მარაგია და არაფრით არ არის გამართლებული პანიკის გამოწვევა სურსათის ნაკლებობაზე ლაპარაკით და ჯარისკაცების გამოყენება გაფიცვის დაწყებისთანავე. დოკერები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ისინი, როგორც წინა გაფიცვების დროს, მზად არიან გადმოტვირთონ მედიკამენტები.

ინდოეთ-პაკისტანი

ბრიტანეთ-ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა ბოლო ხანებში ისევ ამიერიდან ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობის ეს ფაქტორი ბოლო ხანებში ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობის ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ინდოეთ-ინგლის

გადარჩენილი ტაძრები

შარშან 15 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“, ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა ხელმოწერით, გამოქვეყნდა წერილი, რომელიც ეხებოდა ბოლნისის რაიონში მდებარე კაზრეთის ტაძარს. წერილში აღნიშნული, იყო, რომ შუა საუკუნეთა არქიტექტურის ეს ბრწყინვალე ძეგლი მოუვლელობისაგან დაღუპვის პირზე იდგა. სახურავგადასხსნილი და კედელჩამონგრეული ტაძრის ფასადები, ცარცითა და მაზუთთან, ნასშირითა და სალებავით აჭრელებული იყო სხვადასხვა ჯურის მჯღაბნელების მიერ, ტაძრის ირგვლივ თითქმის ყოველთვის ეყარა ზომას გადასულ მოქეიფეთაგან რელიეფებით დამშვენებულ კედლებზე მილეწილი ჭურჭლის ნამსხვრევები. ასეთი უგნური მოქმედების შედეგად დაიჩხა ჩუქურთმები, შიგნით კედლებზე ჩამოცვივდა ფრესკები და უძველესი მხატვრობა უკვალოდ გაქრა. ვიღაცამ ესეც არ იკმარა: დასავლეთ ფასადზე მოთავსებული ჩუქურთმიანი ბირთვი, რომელიც ღომის რელიეფურ ქანდაკებასთან ერთად შესანიშნავ კომპოზიციას ქმნიდა, კედლიდან გამოამტვრია და ტაძრის მოშორებით ქვა-ღორღში ამოსულ ბუჩქებში ჩაუსვეთქა.

აღნიშნული ფაქტები პარტიის ბოლნისის რაიკომის ბიურომ საგანგებო მსჯელობის საგნად გაიხადა, საკითხი მკაცრად განიხილა, დადგენილება მიიღო და სათანადო ორგანიზაციების დახმარებით ბოლნისის რაიონის მშრომელებმა მალე სამეკეფოდ ჩაუყარეს საფუძველი.

კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექციამ (დირექტორი ფ. ნაჭყარია) თანხა გამოაკო. მფეწყო შაბათობა. ნაგებობათა ირგვლივ დუღაბის საძირკველში ჩატანებულ რკინის ბოძებზე, რომლებიც ორნახევარ კუბურ ფართობს ღობავდა, უფანგავი მავთულის ბადე გაჭიმეს. ეზოს ჩრდილოეთის მხრიდან რკინის ჭიშკარი შეაპეს და იმ დღიდან აქ მცველის უნებართვოდ, როგორც იტყვიან, ჩიტიც ალარ შეფრენილა.

ძეგლის გამშვენიერების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს კაზრეთის პროფსკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი ს. სულხანიშვილი). მათ შამბი და ეკალ-ბარდი შემოაცალეს ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე შესანიშნავად ნაგებ სასაფლეს, გალავნის ბურჯებსა და კარიბჭეს. ქვა-ღორღი საგან გაწმენდეს ნაგებობათა შესასვლელები და იატაკები. ეზო, რომელიც ყოველთვის სავსე იყო ქათმის ბუმბულითა და სხვა ნამუსრევით, ახლა დახვეტილ-დაკრიალებულია და მწვანედ მოხასხასდა მოლზე ასწლოვან და ახლადჩარგულ კაკლისა და ცაცხვის ხეებს შორის მთვარესავით ქათქათებს სამების ტაძარი.

კაზრეთელთა ეს პატრიოტული თაოსნობა საპატიოა ქართული კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმეში იმიტომაც, რომ იგი რაიონის სხვა სოფლებში და საწარმო-დაწესებულებებში საერთო-სახალხო საქმედ გადაიქცა. ბოლნისის რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ შ. რეხვიაშვილმა ჩვენ რკინაბეტონის საძირკვლიანი ღობით შემოკავებული თორმეტი ძეგლი გვაჩვენა. არქიტექტურის ეს უძველესი ნიმუშები ახლა შესანიშნავად არის მოვლილი. სკოლის მოსწავლეებს გაუშმენდიათ და ახლა ეკლესიების ეზოებში ბალახი ბიბინებს.

ბოლნისის ტაფით ნაშენ ტაძრებს საზეიმო ელფერი დაჰკრავს. ზოგჯერ უყურებ ტაძრების ჩამონგრეულ კედლებს და სინანულით იგონებ, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ერთი ავყია კაცი, რომელსაც წარსულის გრანობა არ გააჩნდა და როგორც ჩანს, არც მომავლისა, წერაქვით მიადგა დარბაზული ტიპის აკვანების ეკლესიას, მისი კედლებიდან ჩამოხსნა მეექვსე საუკუნეში გათლილი ქვის ფილები და საკუთარი სახლის მშენებლობაზე წაიღო. ჩვენ არ დავსახელებთ იმ კაცს. მან ამ მოღალატური საქციელისათვის შესაფერისი სასჯელი მოიხადა. სამწუხაროდ, დაუსჯელი დარჩა ის, ვინც ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის ქანდაკება დააზიანა, კიდევ კარგი, რომ ავისმქმნელებს ახლა ამის საშუალება აღარ აქვთ. აკვანების ტაძარსა და ეზოს, სადაც გაიზარდა მართლაც მთლიანი საქართველოს დიდი მესიტყვე, გარშემო ორი მეტრის სიმაღლის რკინის ღობე აქვს შემოვლებული.

კარგი იქნებოდა, რომ ბოლნისელთა მაგალითისათვის მიებაძათ მისი მოსაზღვრე რაიონების თავკაცებს. მდინარეების მაშავერას, ფინეზაურისა და ხრამის გადმა-გამოღმა, ქვემო ქართლის მთასა და ბარში, სოფლები, რომლებიც 20-30 წლის წინათ მიწას ძღივს აჩნდნენ, დღეს დაბა-ქალაქებს დაემსგავსნენ. იზრდება ყარაბულახი და შახმარული, ედეკილისა და რატევანი, თაქჭილისა და ყიზილქილისა (ქილისა ეკლესიას ნიშნავს). გამრავლებულ და გაძლიერებულ შთამომავლობას უფლება არა აქვს უდიერად მოეპყრას იმას, რაც წინაპრებმა ამ მიწაზე წარსულში სიცოცხლის ფასად ააშენეს და მოხატეს. მარნეულისა და თეთრი წყაროს, წალკისა და დმანისის რაიონებში დღეს ბევრი შესანიშნავი ძეგლი დგას. ტაძრები ზოგჯერ ეულად დგანან გაპარტახებულ ნასოფლარებზე როგორც წარსული დიდი ცხოვრების უტყვი მოწმენი. ბევრი მაგალითი შეიძლებოდა გაგვეხსენებინა იმისა, რომ ძეგლები ჩვენს დროშიც კი ზიანდება. განსაკუთრებით ეული დღე ადგას ქართულ სასაფლაოებს. ზოგჯერ უძველესი წარწერებით შემკული საფლავის ლოდებს ამსხვრევენ და სადღაც ეზიდებიან მშენებლობაზე. ასე ნადგურდება საფლავის ქვებზე ამოკვეთილი რელიეფური და მრგვალი ქანდაკების თავისებური ნიმუშები, კულტურის სწორედ ისეთი ძეგლები, ხელოვნების უშრეტ წყაროს რომ წარმოადგენენ და უკანასკნელ წლებში ასე რომ დაამშვენეს ჩვენი ქალაქის ქუჩები და ბაღები.

ბოლნისელთა მიერ წამოწყებული საქმე მისაბაძი უნდა გახდეს ქვეყნის ყველა კუთხისათვის. ჩვენი ვალია თვალისჩინივით გავეფრთხილოთ დ ე თ იმას, რაც წინაპრებს შეუქმნიათ და ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას ალამაზებს. შთამომავლობა მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს ყველას, ვინც ამ საქმის გულისყურით მოეკიდება და თაოსნობას გაუწევს.

შ. ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი;

მ. მაჭავარიანი,
ჟურნალ „დილას“ რედაქტორი, პოეტი;

ჯ. ნადირაძე,
საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე.

ზაფხულის ამ დღეებში დილიდანვე ბავშვების ურიცხული ავსებს ბათუმის ბოტანიკური ბაღის ხეივნებს. ფოტო ს. ომმოსაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

გიორგი წერეთელი

მერცხლის სიმღერა

მოვფრინდი და ავჰეკჰეკდ
თქვენი ერთი დანახვითა,
ჩემი ყოფნა ცხრა მთას იქით
ჩალის ფასად არა ღირდა, —
სჯობს იქ ნაქსოვ ოქროს ბუდეს
აქ ნათითხნი ტალახითა.

□

არ იციან გაქცევა

ციხე დაეკვს ლოკოკინას
მაგარია როგორც რკინა,
კუს ჯავშანი აცვია,
ზღარბის კაბა ქაცვია,
აბა, რა ქნან, აბა რა?
არ იციან გაქცევა,
მტერს დასვედრა სჭირდება
და პასუხის გაკემა.

უუტკარი და ცაცხვი

ფუტკარმა უთხრა ცაცხვსაო,
შორს ალარ მინდა წასვლაო,
თუ მაგ ყვავილით დამატკბობ
შემოგევლები თავსაო,
ვინც შენ დაგარგო და გახარა,
ფიჭით მივართმევ თაფლსაო.

□

წიფოგელა

ამ ჩემს ბაღში წიფოგელა
ბალს ამწიფებს სამაისოს,
ეს კუნწულა ელისოსო,
ის კუნწულა თამაზისო,
გოჩამ ბუდე დამინგრია
მწიფეს ღერსი არ არისო.
ვნახოთ,
ჭკუას თუ ისწავლის,
დავუმწიფებთ საგაისოდ.

რ. გამსახურდია

საქართველოს სსრ კავშირის ხელოვნების მოღვაწე, ლენინის ორდენოსანი, ავადმყოფობის შემდეგ გამოკაზდა თვალსაჩინო ინჟინერ-ტექნოლოგი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, პარტიის წევრი 1945 წლიდან რაჟდენ რაჟდენის-ძე გამსახურდია.

რ. გამსახურდია დაიბადა 1911 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირში პედაგოგის ოჯახში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის ქიმიური ტექნიკუმი, ხოლო 1934 წელს ამერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმია-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ჩერნორეჩენსკის ქიმიურ კომბინატში, საკავშირო შეკნიერებათა აკადემიის ქიმიური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში და საქკომუნპროექტში.

1942 წლის დასაწყისიდან რ. გამსახურდია სიკვდილის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტროს „საქპრომონდიტერის“ ტრესტში ჯერ საწარმოო განყოფილების უფროსად, ხოლო 1957 წლიდან ინჟინრად და ტრესტის მმართველის მოადგილედ.

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საქართველოში არსებული პურის ჭარხლის მექანიზაცია-ავტომატიზაციისა და ახალი საწარმოების მშენებლობის საქმე მჭიდროდ არის დაკავშირებული რ. გამსახურდიას სახელთან. მას როგორც გამომგონებელს ეკუთვნის ჭარხლული პურის ცხობის მექანიზაციის საქმეში მეტად მნიშვნელოვანი კონსტრუქციის მქონე აგრეგატის — მექანიზებული თონის შექმნა, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და ინერგება არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც.

თავმდაბლობა, გულისხმიერება, წესიერება — აი ის თვისებები, რომლებიც ახასიათებდა რ. გამსახურდიას. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

რ. გამსახურდიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მასთან მუშაობდა, ვინც იცნობდა და შეგობრობდა.

საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს კავშირის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, „საქპრომონდიტერის“ ტრესტი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

უბედურების მიზეზი — სანადირო თოფი

დანაშაულთა და უბედურ შემთხვევათა აღსაკვეთად

გაზეთ „კომუნისტში“ 14 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ღია წერილში „უბედურების მიზეზი — სანადირო თოფი“ ჩვენი სახელოვანი ადამიანები საგსებით სამართლიანად გამოთქვამდნენ შეშფოთებას იმის გამო, რომ გლუვლულიანი სანადირო თოფის არაწესიერი და უპასუხისმგებელო შენახვის შედეგად ხშირია ადამიანთა დასახიჩრება და სიკვდილიც კი. წერილში აღნიშნული იყო: მონადირეთა საზოგადოებებთან შეიქმნას სპეციალური ჯგუფები მოწინავე მონადირეებისაგან, რომლებიც იზრუნებენ იმისათვის, რომ მონადირეებმა წესიერად შეინახონ სანადირო თოფები და სასროლი მასალა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი, საჭირბოროტო საკითხია. მისი განხორციელება უსათუოდ ხელს შეუწყობს სანადირო იარაღისა და სასროლი მასალის წესიერად შენახვასა და გამოყენებას.

წერილი „უბედურების მიზეზი — სანადირო თოფი“ განიხილეს საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონების მონადირეთა საზოგადოებების გამგეობის თავმჯდომარეები. პრეზიდიუმმა ერთსულოვნად მოიწონა წერილში დაყენებული საკითხები და დასაბა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ: „მონკავშირის“ პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა მოწინავე მონადირეებისაგან შემდგარი ჯგუფი. ანალოგიური ჯგუფები ჩამოყალიბდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მონადირეთა საზოგადოებებთან და მრავალრიცხოვან მონადირეთა პირველად კოლექტივებთან, რომელთაც დავალათ ჩაატარონ გარკვეული მუშაობა მონადირეთა შორის სანადირო იარაღისა და სასროლი მასალის წესიერად შენახვის უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება იარაღის არაწესიერი შენახვის ფაქტი, ამის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის მონადირეთა საზოგადოებას, რომელიც თავის მხრივ აღძრავს საქმეს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში თოფის ჩამორთმევის შესახებ.

გარდა ამისა, დაევალათ მონადირეთა საზოგადოებებს ჩაატარონ თამბირება და გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მონადირეთა შორის როგორც სანადირო წესებისა და ვადების დაცვის, ისე სანადირო იარაღის შენახვისა და მოვლა-პატრონობის შესახებ, ამისათვის ფართოდ გამოიყენონ როგორც ადგილობრივი პრესა, ისე რადიო და ტელევიზია.

რჩევა მიეცათ მონადირეთა კავშირში მიმღებ კომისიებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მოქალაქეთა კავშირში წევრად მიღებას, მოსთხოვონ მათ სავალდებულო მინიმუმის აუცილებელი ცოდნა და განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება იარაღის მოვლა-შენახვის საკითხზე.

„მონკავშირში“ უკვე რამდენიმე წელია შემოღებულია „წესად, რომ მოქალაქე, რომელსაც სურს გახდეს მონადირეთა კავშირის წევრი, ვალდებულია წარმოადგინოს დასასიათება სამუშაო ადგილიდან, ჩაბაროს გამოცდა საგალდებულო სამონადირეო მინიმუმის ფარგლებში და სამონადირეო სასტენდო სროლის მინიმუმი. ამის შემდეგ მას შეუძლია მიიღოს მონადირის ბილეთი. რაც შეეხება თოფის შეძენას, ამის უფლებას აძლევს სათანადო შინაგან საქმეთა განყოფილება. გამოცდის ჩაბარების დროს სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანადირო თოფის შენახვისა და ტარების წესებს.

„მონკავშირის“ მიერ გამოცემულ სავალდებულო მინიმუმის ბროშურაში, რომელიც მონადირეებს უფასოდ ურიგდებათ, აღნიშნულია: „სანადირო თოფი სახლში უნდა ინახებოდეს ცარიელი და დაშლილი, მშრალ ადგილზე, თუ თოფი დასაშლელი არ არის (ზუმბიანი თოფები), იგი უსათუოდ ცარიელი (დაუტენელი) უნდა ინახებოდეს, სასროლი მასალა, განსაკუთრებით დენთი და ფიტკონი, დაკეტილ ყუთში ან კარადაში უნდა იყოს მოთავსებული მშრალ ადგილზე, დენთის ჭურჭელი უნდა დაიხუროს ქერმეტულად“.

მონადირეთა შორის სამონადირეო კულტურის ამაღლების, სასროლი იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების განუხრელად დაცვის მიზნით პერიოდულად ტარდება მონადირეთა საზოგადოებაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა, სოლო თბილისში „მონკავშირის“ პრეზიდიუმთან ყოველთვიურად იმართება მონადირეთა საღამოები, სადაც ლექციამოხსენებებით გამოდიან როგორც პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები, ისე ცნობილი საზოგადო მოღვაწეები. ასე, მაგალითად, გასულ წელს გამოვიდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვილი, გიორგი ნატრაშვილი, აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი და სხვები.

შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდება ახსნა-განმარტებითი მუშაობა მონადირეთა შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნას სანადირო თოფისა და სასროლი მასალის წესიერი შენახვა. აგრეთვე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემობა, რომ გლუვლულიანი თოფები მარტო მონადირეებს კი არა აქვთ, არამედ ბევრ ისეთ მოქალაქესაც, რომელიც მონადირეთა კავშირის წევრი არ არის. გარდა ამისა, გლუვლულიანი სანადირო თოფები დიდი რაოდენობით აქვთ სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საშეურნეო ობიექტების დაცვის მუშაკებს.

მოქალაქეები ამ იარაღს მეტ წილ შემთხვევებში იძენენ სხვა რესპუბლიკებში, სადაც სანადირო იარაღის შეძენას არ სჭირდება სპეციალური ნებართვა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაშია დაწესებული.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან და თოფებს ართმევენ იმათ, ვისაც საამისო ნებართვა არა აქვს. მაგალითად, 1956 წლიდან 1969 წლის 1 მაისამდე ჩამორთმეულია 6082 ცალი გლუვლულიანი სანადირო თოფი.

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ღია წერილის ავტორებს ასეთი აქტიური საკითხის დროულად აღძვრის, კეთილი რჩევისა და დახმარებისათვის.

ს. როსტიაშვილი,
საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.





ვაეცანით, ეს სიახლეა

მოსკოვი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, „ელექტროტექნიკის“ პავილიონში ახალი ექსპონატი გამოჩნდა — ავტომატური სარეცხი მანქანა „ელექტრა“ პროგრამული მართვით. ახალ მანქანას ხარკოვის ელექტროტექნიკური ქარხანა უშვებს. იგი პირველია ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც რეცხვის პროცესი მთლიანად ავტომატიზებული აქვს.

ლიტვის სსრ. პანევეჟისის ელექტროტექნიკური ქარხანა წელს დაიწყებს სამ ბობინტუბ შორის ხმამაღლა სალაპარაკო მოწყობილობის (ზემოთ მარჯვნივ) გამოშვებას. აპარატს ჰქვია „გარსას-ზმ“. იგი გათვალისწინებულია წარმოების მართვის მექანიზაციისათვის. მას გამოიყენებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელი პერსონალი.

ლენინგრადი. მაღალიბმა უკვე მიიღეს მცირეგაბარიტიანი ტრანზისტორული გადასატანი ტელევიზორები „ელექტრონიკა ვლ-100“, რომლის სერიული წარმოება აითვისა ქარხანა „მეზონმა“.

(საკდესი, ასს-ი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი სპორტი

უკანასკნელ ორ წუთში

კალათბურთი

ჯერ კიდევ სამი ტურით ადრე ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი 17 ივლისს მეცხრეჯერ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. მეორე ადგილზეა ლენინგრადის „სპარტაკი“, რომელსაც ერთი მატჩი დარჩა გასამართავი და დღეისათვის 25 ქულა აქვს. მესამე ადგილზე მყოფ კიევის „ტორპედოს“ 5 თამაში აქვს დარჩენილი. მის აქტივშია 21 ქულა.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი — ცსკა-ს გუნდი მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ხოლო მეორე ადგილზე გამოსული კოლექტივი — თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

17 ივლისს შედგა კიდევ ერთი მატჩი ტარტუს „კალევისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე თბილისის დინამოელები წინ იყვნენ 7 ქულის სხვაობით, მაგრამ მათ ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და წაგება თამაში 77:78.

სპორტული კალენდარი

მიმდინარეობს მეხუთე საკავშირო სპარტაკიადა სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში. უკვე დაამთავრეს შეხვედრები მსროლელებმა. ეს შეჯიბრება მოეწყო მოსკოვის გარეუბანში და დამთავრდა რსფსრ-ის მსროლელთა გამარჯვებით. მომდევნო ორი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს უკრაინისა და მოსკოვის გუნდებმა.

ნოვოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზში გრძელდება შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. წინასწარ შეხვედრებში წარმატებით გამოვიდნენ უკრაინისა და აზერბაიჯანის გუნდები, რომლებმაც უძლიერესთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

სპარტაკიადის საერთო მაჩვენებლებით ლიდერობას ინარჩუნებს რსფსრ-ის გუნდი — 140 ქულა. მეორე ადგილზე არიან უკრაინელები — 100 ქულა.

მოედანზე არიან რეგბისტები

თბილისსა და კიევში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება რეგბიში. გუშინ თბილისში გაიმართა მეორე ტურის ორი შეხვედრა.

მატჩი მოსკოვის „ფილისა“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 3:3.

თბილისის ლოკომოტიველებს პაექრობა ჰქონდათ მოსკოვის „ავტომობილისტთან“. შეხვედრის შედეგი ფრე — 9:9.

დაფინაურდნენ მასპინძლები

გრძელდება შეჯიბრება ჩოგბურთში დევისის თასზე. ევროპის „ბ“ ზონის ფინალში პაექრობა აქვთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელებს. ეს ასპარეზობა მიმდინარეობს დიუსელდორფში.

პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ერთეულები. მოსკოველი ვ. კოროტკოვის მეტოქე იყო ვ. ბუნგერტი. წარმატება ვ. ბუნგერტს ხვდა 6:4, 7:9, 6:4, 6:3. გერმანელები დაწინაურდნენ 1:0. ამის შემდეგ ხაჩოგბურთი ორ-ორ მატჩში ერთმანეთს ებრძოდნენ. ამ ბრძოლაში ორივე ერთ-ერთ ადგილზე ჩოგბურთელი კ. კუნეკი. ჩვენი თანამემამულე აღმავლობით იბრძოდა და გაიმარჯვა 6:1, 6:1, 10:8.

ამრიგად, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების მატჩის პირველი დღის შედეგი იყო 1:1. გუშინ გაიმართა წყვილთა შეხვედრა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 5:7, 1:6, 8:6, 6:2, 7:5. ხაერთო ანგარიშია 2:1 გერმანელთა სასარგებლოდ.

ფეხბურთი

ბრაკონიერებს — პატიმრობა

თერჯოლა. (საკ. კორ.). ჭოგნარელ შალვა და ვარლამ არეშიძეებს მაშინ წაასწრეს, როცა მდინარე წყალწითელაში დინამიტით თევზს ანადგურებდნენ.

თერჯოლის სახალხო სასამართლომ ს. ჯიქიას თავმჯდომარეობით განიხილა ბრაკონიერების საქმე. თევზის ფეთქებადი ნივთიერებით განადგურებისათვის შალვა და ვარლამ არეშიძეებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ერთნახევარი წლით თვითეულს. მათვე დაეკისრათ განადგურებული თევზის ღირებულების — 364 მანეთის გადახდა.

ეს განაჩენი ბრაკონიერებისათვის გაკვეთილი უნდა გახდეს.

საქსპორტლოტოს დარბაზიდან

□

ბრაკონიერებს — პატიმრობა

თერჯოლა. (საკ. კორ.). ჭოგნარელ შალვა და ვარლამ არეშიძეებს მაშინ წაასწრეს, როცა მდინარე წყალწითელაში დინამიტით თევზს ანადგურებდნენ.

თერჯოლის სახალხო სასამართლომ ს. ჯიქიას თავმჯდომარეობით განიხილა ბრაკონიერების საქმე. თევზის ფეთქებადი ნივთიერებით განადგურებისათვის შალვა და ვარლამ არეშიძეებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ერთნახევარი წლით თვითეულს. მათვე დაეკისრათ განადგურებული თევზის ღირებულების — 364 მანეთის გადახდა.

ეს განაჩენი ბრაკონიერებისათვის გაკვეთილი უნდა გახდეს.

ტელევიზია

● კვირა, 19 ივლისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შესვლილთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 10.30 — „მეტალურგთა დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური ქიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „მოგზაურობა“, 13.00 — „ხელმარჯვეთა ტურნირი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — „სოფლის მშრომელებს“ — სკკპ ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „ვეძებ ჩემს მკვლელს“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 15.30 — კინოფიშა, 16.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 16.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მერმრებისათვის, 17.25 — კინონარკვევი, 17.40 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 18.30 — „ჩვენი სტუმრები“, 19.05 — „შვიდი დღე“. საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — „თეატრალური პანორამა“, 21.30 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში — „დინამო“ მოსკოვი — ცსკა. მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — მხატვრული ფილმი — „ანა კარენინა“ (მეორე სერია).

● ორშაბათი, 20 ივლისი

18.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — გადაცემა „ჩვენ საბჭოთა ხელისუფლება“, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „არარატი“ ერევანი — „დინამო“ თბილისი. რეპორტაჟი ერევნიდან. შესვენების დროს და 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — 1. „პალიტრა“, 2. მოკლემეტრაჟიანი მუსიკალური ფილმები, 22.00 — „ეკრანის ოსტატები“ — როსტისლავ პლიატი (გადმოცემა მოსკოვიდან).

კინო

19 ივლისი

ოქტომბერი — **განთავისუფლება** (I, II სერია); ამირანი (საბამთრო და საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო) გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო). პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, სპორტი — **თეორი მგლები**; ფილარმონიის ბაღი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ნაკადული, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კომკავშირელი, ეკრანი — **შავი ტიტა**; 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოლხიდა (საზაფხულო), ბათუმი, ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **მგლის კუნძული**; ისანი (საზაფხულო), თბილისი — **გრაფინია კოსელი** (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **ხაიბა** (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **მონა ქალი**; თანამგზავრი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ნიყვარულის ანაკი**; კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი — **გაუმარჯოს ნიყვარულს** (I, II სერია); პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ბედნიერ ნაპოვნთა დრო**; საქართველო (საზაფხულო) — **შევარდნის კვალი**.

რა ვნახოთ, რა ვოვისმინოთ

... ...